აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 2

16 მარტი 2007 წ. ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის № 4 დადგენილებით (გაზეთი „აჭარა“ 23. 05. 2006 № 91) დამტკიცებულ რეგლამენტში შეტანილი იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

1. ამოღებული იქნას მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი.
2. ამოღებული იქნას მე-7 მუხლი.
3. ამოღებული იქნას მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ” ქვეპუნქტი.
4. მე-13 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „პ” პუნქტი:

„პ) ეკონომიური სამსახურის უფროსი იმავდროულად ახორციელებს ბუღალტრის ფუნქციებს”.

6. ამოღებული იქნას 15^1 მუხლი.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ № 30) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2007 წლის 1 აპრილიდან.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია